| მიღებული პროცენტები                                    | კურსთა შორის<br>სხვაობა<br>დაკლასიფიცირდ<br>ა მიღებულ<br>პროცენტებად                                | -                                  | 4                                | 4                      |
| კურსთა შორის სხვაობა                                   | დაკლასიფიცირდ<br>ა გადახდილ და<br>მიღებულ<br>პროცენტებად                                            | 6                                  | (7)                              | (1)                    |
| კაპიტალის ცვლილება                                     | სხვა                                                                                                | (43)                               | 1                                | (42)                   |
| გასავალი მიღებული სესხის<br>დასაფარად                  | სხვა                                                                                                | (1,345)                            | (1)                              | (1,346)                |
| გაცემული დივიდენდი                                     | სხვა                                                                                                | (15)                               | (1)                              | (16)                   |

შპს „კრიათივ იმფრემენს კავკასუს“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ათას ქართულ ლარში)

## 6. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|                                                       | 2020         | 2019         |
|-------------------------------------------------------|--------------|--------------|
| შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან | 4,403        | 4,360        |
| სხვა შემოსავალი მომსახურებიდან                        | 44           | 1            |
| <b>სულ შემოსავალი</b>                                 | <b>4,447</b> | <b>4,361</b> |

## 7. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

კომპანიის გაწეული მომსახურების თვითღირებულება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|                                                    | 2020         | 2019         |
|----------------------------------------------------|--------------|--------------|
| ძირითადი მასალის დანახარჯები                       | 2,410        | 1,731        |
| მომსახურე ფიზიკური პირების ანაზღაურება             | 812          | 1,111        |
| შრომის ანაზღაურების ხარჯი                          | 606          | 409          |
| სატრანსპორტო მომსახურება                           | 267          | 41           |
| მომსახურების სხვადასხვა დანახარჯები                | 203          | 480          |
| საბანკო გარანტიები                                 | 154          | 103          |
| ცვეთა და ამორტიზაცია                               | 140          | 107          |
| საწვავის ხარჯი                                     | 102          | 114          |
| საიჯარო ხარჯი                                      | 90           | 49           |
| ძირითადი საშუალების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი | 45           | 39           |
| ქონების გადასახადი                                 | 8            | 5            |
| <b>სულ გაწეული მომსახურების თვითღირებულება</b>     | <b>4,837</b> | <b>4,189</b> |

## 8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|                                              | 2020       | 2019       |
|----------------------------------------------|------------|------------|
| შრომის ანაზღაურების ხარჯი                    | 310        | 315        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                         | 96         | 96         |
| საექვო მოთხოვნის ხარჯი                       | 58         | 324        |
| საპენსიო ხარჯი                               | 27         | 28         |
| კომუნალური ხარჯი                             | 16         | 16         |
| მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები  | 7          | 10         |
| საკონსულტაციო ხარჯი                          | 2          | 14         |
| სახელფასო და მსგავსი ხარჯები                 | 1          | 3          |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი                   | 48         | 42         |
| <b>სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>565</b> | <b>848</b> |

## 9. სხვა საოპერაციო ხარჯები

კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|                                     | 2020       | 2019      |
|-------------------------------------|------------|-----------|
| აუდიტორული მომსახურება              | 39         | 18        |
| სამეურნეო მომსახურება               | 34         | -         |
| დაცვის მომსახურების ხარჯი           | 21         | 15        |
| საოფისე ხარჯი                       | 15         | 13        |
| ძირითადი საშუალების ჩამოწერის ხარჯი | 5          | 7         |
| საბანკო მომსახურების ხარჯი          | 1          | 5         |
| არაპირდაპირი ხელფასი                | -          | 4         |
| სხვა საოპერაციო ხარჯი               | 28         | 11        |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>       | <b>143</b> | <b>73</b> |

## 10. საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა

კომპანიის საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|                                               | 2020        | 2019        |
|-----------------------------------------------|-------------|-------------|
| <b>კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება</b> | <b>49</b>   | <b>23</b>   |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                   | -           | 3           |
| კრედიტორული დავალიანება                       | 8           | -           |
| დებიტორული დავალიანება                        | 41          | 20          |
| <b>კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი</b> | <b>(81)</b> | <b>(20)</b> |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                   | -           | (4)         |
| კრედიტორული დავალიანება                       | (20)        | -           |
| დებიტორული დავალიანება                        | ( 10)       | -           |
| საიჯარო ვალდებულებები                         | (51)        | (16)        |
| <b>საკურსო სხვაობის წმინდა შედეგი</b>         | <b>(32)</b> | <b>3</b>    |

## 11. საპროცენტო ხარჯები

კომპანიის საპროცენტო ხარჯები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

|                                       | 2020      | 2019      |
|---------------------------------------|-----------|-----------|
| საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი | 64        | 54        |
| მიღებული სესხის საპროცენტო ხარჯი      | 6         | -         |
| <b>სულ საპროცენტო ხარჯი</b>           | <b>70</b> | <b>54</b> |

## 12. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

|                                                  | 2020 წლის 31<br>დეკემბერი | 2019 წლის 31<br>დეკემბერი |
|--------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ფულადი სახსრები ბანკში ეროვნულ ვალუტაში          | 247                       | 1,215                     |
| ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში           | 1                         | 1                         |
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში                      | 2                         | 1                         |
| <b>სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები</b> | <b>250</b>                | <b>1,217</b>              |

## 12. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (გაგრძელება)

ფულადი სახსრები განთავსებულია ქართულ ბანკებში და არის დაბალი რისკის მატარებელი. მოკლევადიანი ხასიათის გამო ფული და ფულის ექვივალენტებზე არ არის შექმნილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი.

## 13. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

|                                           | 2020 წლის 31 დეკემბერი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|-------------------------------------------|------------------------|------------------------|
| ნედლეული და მასალები                      | 638                    | 695                    |
| დაუმთავრებელი წარმოება                    | 314                    | 366                    |
| სხვა მარაგები                             | 3                      | 1                      |
| <b>სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები</b> | <b>955</b>             | <b>1,062</b>           |

## 14. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

კომპანიის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

|                                                             | 2020 წლის 31 დეკემბერი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|-------------------------------------------------------------|------------------------|------------------------|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება                              | 519                    | 777                    |
| დებიტორული დავალიანების ანარიცხები                          | (361)                  | (352)                  |
| <b>სულ მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება</b> | <b>158</b>             | <b>425</b>             |

სავაჭრო დებიტორული დავალიანება შედგება როგორც სამშენებლო სამუშაოებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს, ასევე სამშენებლო მასალების გაყიდვიდან მიღებულ დებიტორულ დავალიანებას.

კოლექტიური მეთოდით სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. კომპანიამ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის 85.5.50 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მომხმარებლებზე.

კომპანიამ დაწერა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ფინანსური ინტესტუმენტების მიმართ კომპანია აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს: მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; ფულის დროითი ღირებულების; გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

სავაჭრო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

#### 14. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | 2020         | 2019         |
|------------------------------|--------------|--------------|
| 1 იანვრისთვის                | (352)        | (28)         |
| რეზერვის ზრდა                | (21)         | (324)        |
|                              | (373)        | (352)        |
| ზარალის ამობრუნება           | 12           | -            |
| <b>31 დეკემბრისთვის</b>      | <b>(361)</b> | <b>(352)</b> |

#### გრძელვადიანი მოთხოვნები

გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 289 ათას ლარს (2019: 86 ათასი ლარი). იგი მოიცავს საგარანტიო თანხებს, სამშენებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით.

#### 15. გაცემული ავანსები

კომპანიის გაცემული ავანსები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

|                                         | 2020 წლის<br>31 დეკემბერი | 2019 წლის<br>31 დეკემბერი |
|-----------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| მარაგების შესაძენად გადახდილი ავანსები  | 288                       | 179                       |
| სხვა ავანსები                           | 11                        | 3                         |
| გაცემული ავანსების გაუფასურების რეზერვი | (49)                      | -                         |
| <b>სულ გაცემული ავანსები</b>            | <b>250</b>                | <b>182</b>                |

გაცემული ავანსების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | 2020        | 2019     |
|------------------------------|-------------|----------|
| 1 იანვრისთვის                | -           | -        |
| რეზერვის ზრდა                | (49)        | -        |
| <b>31 დეკემბრისთვის</b>      | <b>(49)</b> | <b>-</b> |

## 16. სახელშეკრულებო აქტივი და სახელშეკრულებო ვალდებულება

კომპანიის სახელშეკრულებო აქტივი და სახელშეკრულებო ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

|                                                                                                               | სახელშეკრულებო<br>აქტივი 2020 | სახელშეკრულებო<br>აქტივი 2019 | სახელშეკრულებო<br>ვალდებულება<br>2020 | სახელშეკრულებო<br>ვალდებულება<br>2019 |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------|-------------------------------|---------------------------------------|---------------------------------------|
| <b>1 იანვარი</b>                                                                                              | -                             | -                             | 5,068                                 | -                                     |
| სახელშეკრულებლო<br>ვალდებულებებში<br>მოცემული თანხები,<br>რომლებიც აღიარდა<br>შემოსავლად წლის<br>განმავლობაში | -                             | -                             | (640)                                 | (471)                                 |
| აღიარებული შემოსავლის<br>გადაჭარბება მისაღებ<br>ანაზღაურებასთან<br>მიმართებაში                                | 218                           | -                             | -                                     | -                                     |
| მიღებული ანაზღაურება<br>ავანსად, რომელიც არ<br>აღიარებულა შემოსავლად<br>წლის განმავლობაში                     | -                             | -                             | -                                     | 5,539                                 |
|                                                                                                               | <b>218</b>                    | <b>-</b>                      | <b>4,428</b>                          | <b>5,068</b>                          |

2019 წელს მიღებული ავანსი წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თანხებს.

შპს „ქრიათივ იმფრემენს კავკასუს“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის  
(ათას ქართულ ლარში)

## 17. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება

კომპანიის ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

| ისტორიული ღირებულება                       | შენობა -<br>ნაგებობები | მანქანა -<br>დანადგარები | ოფისის ინვენტარი,<br>ტექნიკა და ავეჯი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | აქტივის<br>გამოყენების<br>უფლება | მიწა      | სულ          |
|--------------------------------------------|------------------------|--------------------------|---------------------------------------|-----------------------------|----------------------------------|-----------|--------------|
| <b>2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>    | <b>26</b>              | <b>936</b>               | <b>290</b>                            | <b>788</b>                  | <b>-</b>                         | <b>92</b> | <b>2,132</b> |
| ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი                | -                      | -                        | -                                     | (183)                       | 381                              | -         | 198          |
| შემოსვლა                                   | 21                     | 19                       | 42                                    | 110                         | 184                              | -         | 376          |
| ჩამოწერა                                   | -                      | (2)                      | (4)                                   | (2)                         | -                                | -         | (8)          |
| <b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>47</b>              | <b>953</b>               | <b>328</b>                            | <b>713</b>                  | <b>565</b>                       | <b>92</b> | <b>2,698</b> |
| შემოსვლა                                   | -                      | 461                      | 25                                    | 88                          | 266                              | -         | 840          |
| ჩამოწერა                                   | -                      | 3                        | 71                                    | -                           | -                                | -         | 74           |
| შოდა გადაადგილება                          | -                      | -                        | -                                     | 183                         | (183)                            | -         | -            |
| <b>2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>47</b>              | <b>1,417</b>             | <b>424</b>                            | <b>984</b>                  | <b>648</b>                       | <b>92</b> | <b>3,612</b> |
| <b>ცვეთა და გაუფასურება</b>                |                        |                          |                                       |                             |                                  |           |              |
| <b>2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>    | <b>14</b>              | <b>694</b>               | <b>178</b>                            | <b>362</b>                  | <b>-</b>                         | <b>-</b>  | <b>1,248</b> |
| ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი                | -                      | -                        | -                                     | (24)                        | 24                               | -         | -            |
| მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი                | 2                      | 54                       | 37                                    | 27                          | 83                               | -         | 203          |
| გასვლის მომენტში დაგროვილი ცვეთა           | -                      | -                        | -                                     | -                           | -                                | -         | -            |
| <b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>16</b>              | <b>748</b>               | <b>215</b>                            | <b>365</b>                  | <b>107</b>                       | <b>-</b>  | <b>1,451</b> |
| მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი                | 5                      | 67                       | 41                                    | 38                          | 85                               | -         | 236          |
| გასვლის მომენტში დაგროვილი ცვეთა           | -                      | 3                        | 75                                    | -                           | -                                | -         | 78           |
| შიდა გადაადგილება                          | -                      | -                        | -                                     | 19                          | (19)                             | -         | -            |
| <b>2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>21</b>              | <b>818</b>               | <b>331</b>                            | <b>422</b>                  | <b>173</b>                       | <b>-</b>  | <b>1,765</b> |
| <b>საბალანსო ღირებულება</b>                |                        |                          |                                       |                             |                                  |           |              |
| <b>2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>31</b>              | <b>205</b>               | <b>113</b>                            | <b>348</b>                  | <b>458</b>                       | <b>92</b> | <b>1,247</b> |
| <b>2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>26</b>              | <b>599</b>               | <b>93</b>                             | <b>562</b>                  | <b>475</b>                       | <b>92</b> | <b>1,847</b> |

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 2 ათას ლარს (2019: 0 ლარი).

## 17. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება (გაგრძელება)

კომპანიას გაფორმებული საგარანტიო ხელშეკრულებების შესაბამისად გარანტიები უზრუნველყოფილი აქვს ძირითადი საშუალებებით, ნეტო საბალანსო ღირებულებებით 80 ათასი ლარით (2019 : 94 ათასი ლარი).

## 18. შეზღუდული ფულადი სახსრები

შეზღუდული ფულადი სახსრები მოიცავს მიღებული ავანსის საბანკო გარანტიის უზრუნველსაყოფად ბანკში განთავსებულ თანხებს (შენიშვნა 16), რომელიც 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაბლოკილია სს „საქართველოს ბანკი“-ს ანგარიშზე 2022 წლის 30 ივნისამდე.

## 19. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

კომპანიის კრედიტორული დავალიანება 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

|                                                    | 2020 წლის 31 დეკემბერი | 2019 წლის 31 დეკემბერი |
|----------------------------------------------------|------------------------|------------------------|
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანება                    | 262                    | 213                    |
| სხვა კრედიტორული დავალიანება                       | 197                    | 324                    |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება</b> | <b>459</b>             | <b>537</b>             |

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ძირითადად შედგება მარაგებისა და ძირითადი საშუალების შეძენიდან წარმოქმნილ ვალდებულებებისგან, ხოლო სხვა კრედიტორულ დავალიანებაში შედის როგორც გაწეული მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები, ასევე თანამშრომლების მიმართ დავალიანება.

## 20. საიჯარო ვალდებულებები

კომპანიის საიჯარო ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

| 1 იანვრისთვის               | 2020       | 2019       |
|-----------------------------|------------|------------|
| საწყისი ღირებულება          | 351        | -          |
| ფასს-16-ზე გადასვლის ეფექტი | -          | 488        |
| დამატებები                  | 266        | -          |
| დარიცხული პროცენტი          | 64         | 54         |
| გადახდები                   | (303)      | (207)      |
| საკურსო სხვაობის ეფექტი     | 51         | 16         |
| <b>31 დეკემბრისთვის</b>     | <b>429</b> | <b>351</b> |

## 21. მიმდინარე სასესხო ვალდებულება

კომპანიის მიმდინარე სასესხო ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

| ორგანიზაცია  | სესხის<br>გაცემის<br>თარიღი | დაფარვის<br>თარიღი | საპროცენტო<br>სარგებელი | ვალუტა | 31-დეკ-<br>2020 | 31-დეკ-<br>2019 |
|--------------|-----------------------------|--------------------|-------------------------|--------|-----------------|-----------------|
| დამფუძნებელი | 01-დეკ-2020                 | 01-დეკ-2021        | 11.50%                  | GEL    | 500             | -               |
| <b>სულ</b>   |                             |                    |                         |        | <b>500</b>      | <b>-</b>        |
| ძირი         |                             |                    |                         |        | 500             | -               |
| პროცენტი     |                             |                    |                         |        | -               | -               |
|              |                             |                    |                         |        | <b>500</b>      | <b>-</b>        |

## 22. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და აკუმულირებული ზარალისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აკუმულირებული მოგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემცირდა 144 ათასი ლარით და შეადგინა 25 ათასი ლარი (2019 - შემცირდა 42 ათასი ლარით და შეადგინა 169 ათასი ლარი).

კომპანიის 2020 წელს გაცემული დივიდენდი შეადგენს 235 ათას ლარს, რომელიც დაიფარა 2018 წლის 12 დეკემბრის კომპანიის მიერ დამფუძნებლისთვის უძრავი ქონების (ს/კ 05.22.17.003.01.010) გადაცემით წარმოშობილი მოთხოვნის (235 ათასი ლარი) ურთიერთგაქვითვით. (2019 – 16 ათასი ლარი).

## 23. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 5 მაისს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები და თარიღმა გადაიწია 2023 წლის იანვრამდე. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები

საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე (1/85% \* 15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

მოგების გადასახადმა 2020 წლის მდგომარეობით შეადგინა 13 ათასი ლარი (2019 – 0 ლარი).

## 24. ფინანსური რისკი

კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენებია და აღწერილია ქვემოთ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

| 31 დეკემბერი 2020                       | ლარი         | ევრო       | აშშ დოლარი   | ინგლისური ფუნტი | სულ          |
|-----------------------------------------|--------------|------------|--------------|-----------------|--------------|
| <i>ფინანსური აქტივები</i>               |              |            |              |                 |              |
| ფული და ფულის ეკვივალენტები             | 247          | -          | -            | 1               | 248          |
| შეზღუდული ფულადი სახსრები               | 1,440        | -          | -            | -               | 1,440        |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება  | 158          | -          | -            | -               | 158          |
| გრძელვადიანი მოთხოვნები                 | 289          | -          | -            | -               | 289          |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>           | <b>2,134</b> | <b>-</b>   | <b>-</b>     | <b>1</b>        | <b>2,135</b> |
| <i>ფინანსური ვალდებულებები</i>          |              |            |              |                 |              |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 420          | 2          | 37           | -               | 459          |
| მიღებული სესხები                        | 500          | -          | -            | -               | 500          |
| საიჯარო ვალდებულება                     | 84           | -          | 345          | -               | 429          |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>      | <b>1,004</b> | <b>2</b>   | <b>382</b>   | <b>-</b>        | <b>1,388</b> |
| <b>ღია სავალუტო პოზიცია</b>             | <b>1,130</b> | <b>(2)</b> | <b>(382)</b> | <b>1</b>        | <b>747</b>   |

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

| 31 დეკემბერი 2019                       | ლარი         | ევრო       | აშშ დოლარი | ინგლისური ფუნტი | სულ          |
|-----------------------------------------|--------------|------------|------------|-----------------|--------------|
| <i>ფინანსური აქტივები</i>               |              |            |            |                 |              |
| ფული და ფულის ეკვივალენტები             | 1,215        | -          | -          | 1               | 1,216        |
| შეზღუდული ფულადი სახსრები               | 3,050        | -          | -          | -               | 3,050        |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება  | 109          | -          | 316        | -               | 425          |
| გრძელვადიანი მოთხოვნები                 | 86           | -          | -          | -               | 86           |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>           | <b>4,460</b> | <b>-</b>   | <b>316</b> | <b>1</b>        | <b>4,777</b> |
| <i>ფინანსური ვალდებულებები</i>          |              |            |            |                 |              |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 480          | 1          | 56         | -               | 537          |
| საიჯარო ვალდებულება                     | 164          | -          | 187        | -               | 351          |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>      | <b>644</b>   | <b>1</b>   | <b>243</b> | <b>-</b>        | <b>888</b>   |
| <b>ღია სავალუტო პოზიცია</b>             | <b>3,816</b> | <b>(1)</b> | <b>73</b>  | <b>1</b>        | <b>3,889</b> |

### სავალუტო რისკი

წარმოდგენილი ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის დამოკიდებულებას 20%-იან ზრდასთან და ლარის გაუფასურებასთან დოლარის და ევროს მიმართ. 20% წარმოადგენს ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას შესაძლო საკურსო ცვლილებებთან. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ საბალანსო ნაშთებს და აკორექტირებს ამ ნაშთებს 20% იანი საკურსო სხვაობის მერყეობით.

დადებითი რიცხვი წარმოადგენს მოგების ან ზარალის ზრდას, სადაც ლარი მყარდება წარმოდგენილი ვალუტის მიმართ:

## 24. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

|                                    | 31 დეკემბერი<br>2020 | 31 დეკემბერი<br>2020 | 31 დეკემბერი<br>2019 | 31 დეკემბერი<br>2019 |
|------------------------------------|----------------------|----------------------|----------------------|----------------------|
|                                    | 20%                  | -20%                 | 20%                  | -20%                 |
| აშშ დოლარის ეფექტი (ზარალი) მოგება | (76)                 | 76                   | 15                   | (15)                 |

### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადია საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე, რაც განპირობებულია კომპანიის მიერ აღებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებით.

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ურთიერთობს კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება კონტრაქტორის დეფოლტის რისკი, მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

|                                                      | 2020 წლის 31<br>დეკემბერი | 2019 წლის 31<br>დეკემბერი |
|------------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე) | 519                       | 777                       |
| ფული ბანკში                                          | 248                       | 1,215                     |
| შეზღუდული ფულადი სახსრები                            | 1,440                     | 3,050                     |
| გრძელვადიანი მოთხოვნები                              | 289                       | 86                        |
|                                                      | <b>2,496</b>              | <b>5,128</b>              |

### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის კომპანიის მიერ ვალდებულებების ვერ შესრულების რისკი.

კომპანიის პოლიტიკა განახორციელოს გონივრული ლიკვიდურობის დონის მართვა, რაც გულისხმობს ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხის საკმარისი დონის შენარჩუნებას, ისევე როგორც მაღალ ლიკვიდური აქტივების ქონას რომელიც უზრუნველყოფს ყველა ოპერაციისა და ვალის მომსახურების დაფარვას მისი დადგომის მომენტისათვის.

შემდეგი ცხრილი შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

| 31 დეკემბერი 2020                       | 1 წლამდე     | 1-დან 5<br>წლამდე | 5 წლის<br>შემდეგ | სულ          |
|-----------------------------------------|--------------|-------------------|------------------|--------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>               |              |                   |                  |              |
| ფული და ფულის ეკვივალენტები             | 250          | -                 | -                | 250          |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება  | 158          | -                 | -                | 158          |
| შეზღუდული ფულადი სახსრები               | -            | 1,440             | -                | 1,440        |
| გრძელვადიანი მოთხოვნები                 | -            | 289               | -                | 289          |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>           | <b>408</b>   | <b>1,729</b>      | <b>-</b>         | <b>2,137</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>          |              |                   |                  |              |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 459          | -                 | -                | 459          |
| მიღებული სესხები                        | 500          | -                 | -                | 500          |
| საიჯარო ვალდებულებები                   | 238          | 191               | -                | 429          |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>      | <b>1,197</b> | <b>191</b>        | <b>-</b>         | <b>1,388</b> |
| <b>ლიკვიდურობის გარღვევა</b>            | <b>(789)</b> | <b>1,538</b>      | <b>-</b>         | <b>749</b>   |

## 24. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

| 31 დეკემბერი 2019                       | 1 წლამდე     | 1-დან 5 წლამდე | 5 წლის შემდეგ | სულ          |
|-----------------------------------------|--------------|----------------|---------------|--------------|
| <i>ფინანსური აქტივები</i>               |              |                |               |              |
| ფული და ფულის ეკვივალენტები             | 1,217        | -              | -             | 1,217        |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება  | 425          | -              | -             | 425          |
| შეზღუდული ფულადი სახსრები               | -            | 3,050          | -             | 3,050        |
| გრძელვადიანი მოთხოვნები                 | -            | 86             | -             | 86           |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>           | <b>1,642</b> | <b>3,136</b>   | <b>-</b>      | <b>4,778</b> |
| <i>ფინანსური ვალდებულებები</i>          |              |                |               |              |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 537          | -              | -             | 537          |
| მიღებული სესხები                        | 1            | -              | -             | 1            |
| საიჯარო ვალდებულებები                   | 169          | 182            | -             | 351          |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>      | <b>707</b>   | <b>182</b>     | <b>-</b>      | <b>889</b>   |
| <b>ლიკვიდურობის გარღვევა</b>            | <b>935</b>   | <b>2,954</b>   | <b>-</b>      | <b>3,889</b> |

## 25. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

### საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველა, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები,

შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

## 26. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

- ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

|                                    | ურთიერთობის სახე      | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|------------------------------------|-----------------------|-------------------|-------------------|
| მოკლევადიანი ვალდებულებები         | საერთო კონტროლის ქვეშ | 20                | 73                |
| მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები | დამფუძნებელი          | 500               | -                 |
| მოთხოვნები                         | დამფუძნებელი          | -                 | 235               |
|                                    |                       | <b>520</b>        | <b>308</b>        |

  

|                                                           | ურთიერთობის სახე      | 2020        | 2019        |
|-----------------------------------------------------------|-----------------------|-------------|-------------|
| საპროცენტო ხარჯი                                          | დამფუძნებელი          | 5           | 3           |
| საიჯარო შემოსავალი                                        | საერთო კონტროლის ქვეშ | 6           | -           |
| საპროცენტო შემოსავალი                                     | საერთო კონტროლის ქვეშ | 3           | 1           |
|                                                           |                       | <b>116</b>  | <b>106</b>  |
|                                                           |                       | <b>2020</b> | <b>2019</b> |
| <b>უმაღლესი ხელმძღვანელობის ხელფასი და სხვა სარგებელი</b> |                       | <b>298</b>  | <b>238</b>  |

## 27. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

2021 წლის განმავლობაში დამფუძნებელმა განახორციელა კაპიტალში შენატანი 169 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო კაპიტალი შეამცირა 165 ათასი ლარის ოდენობით.

2021 წლის განმავლობაში დამფუძნებელმა საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად კომპანიას გადასცა 135 ათასი ლარი, ხოლო კომპანიამ დამფუძნებელს დაუბრუნა 8 ათასი ლარი.

2021 წლის იანვრისა და თებერვლის თვეში გათავისუფლებულ იქნა კომპანიაში მომუშავე 8 პირი. ამავე წლის 25 თებერვალს გათავისუფლებულმა პირებმა შეიტანეს სარჩელი სასამართლოში. მათი მოთხოვნაა სამსახურში აღდგენა და განაცდური თვეების ანაღზღაურება. საქმე განსახილველად ჩანიშნულია 2021 წლის 13 დეკემბერს. კომპანიის იურისტის შეფასებით, აღნიშნული საქმე შესაძლოა კომპანიის სასარგებლოდ ვერ დასრულდეს.

ასევე, 2021 წლის 15 სექტემბერს კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა სს ენერგო პრო ჯორჯიამ. კომპანია თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულში ახორციელებდა სამშენებლო სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოებს. კომპანიამ ელექტროენერგიის საფასური სრულად დაფარა ქვითრებსა და ანგარიშ-ფაქტურებში მითითებული თანხების შესაბამისად. ოთხი თვის შემდეგ სს ენერგო პრო ჯორჯიამ მოითხოვა დამატებით 23 ათასი ლარის გადახდა, რადგანაც, მათივე ცნობით, მოხდა აღრიცხვის კვანძის შეცდომა და, შესაბამისად, ჯამში დაირიცხა 23 ათასი ლარით ნაკლები თანხა. პირველი ინსტანციით, საქმე განიხილა თელავის საქალაქო სასამართლომ, რომელმაც არ დააკმაყოფილა სარჩელი. ამჟამად, საქმე გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომლის განხილვა ჩანიშნულია 2021 წლის 8 დეკემბერს. კომპანიის იურისტის შეფასებით, აღნიშნული საქმის კომპანიის სასარგებლოდ დასრულების ალბათობა ძალიან მაღალია.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.